



საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭანტურის ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05; 2 99 11 11
Fax.: (+995 32) 2 921534

№ 08/873

12 / თებერვალი / 2014 წ.

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი IDFI

თქვენს 2014 წლის 27 იანვრის №OPD01/14-020 განცხადებასთან (სამინისტროს რეგისტრაციის №1736/11; 27.01.2014წ.) დაკავშირებით, დანართის სახით გიგზავნით სამინისტროს ცენტრალური აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან მიღებულ ინფორმაციას.

ამავდროულად გაცნობებთ:

სამინისტროს საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით:

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვების გადაუდებელი აუცილებლობისას შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. შესაბამისად, ზემოაღნიშნული განცხადების №8 პუნქტში მითითებული მიწერილობა (წერილობითი შეთანხმება) არ ხორციელდება;

სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არ ინახება;

შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ, 2013 წელს განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშებისა და აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით:

შიდა აუდიტის დეპარტამენტი ახორციელებს აუდიტს სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში, სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და პარტნიორის მომართვის საფუძველზე სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საზოგადოებებში. „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია უარი ითქვას მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე.

დანართი: 6 (ექვსი) excel-ის ფაილი

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით
გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე
პასუხისმგებელი პირი

პავლე ოკუჯავა